შიდა აუდიტის კომიტეტი

წესდება

1. ზოგადი დებულებები

აუდიტის კომიტეტი (შემდგომში "კომიტეტი") ასრულებს მნიშვნელოვან როლს ორგანიზაციის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემების ფუნქციონირების დამოუკიდებელ ზედამხედველობაში. მისი საქმიანობა ემსახურება ნდობის განმტკიცებას აღნიშნული სისტემების მიმართ. წესდება განსაზღვრავს კომიტეტის როლს, ფუნქციებს, პასუხისმგებლობებს და ასახავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს (შემდგომში "საბჭო") მიერ კომიტეტზე გადაცემულ უფლებამოსილებებს, რაც მოიცავს კომპანიის ფინანსური ანგარიშგების, რისკების მართვის, შიდა კონტროლისა და მონიტორინგის სისტემების ზედამხედველობას.

წინამდებარე წესდება წარმოადგენს სს "საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის" (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში "ჯგუფი") შიდა მარეგულირებელ დოკუმენტს.

წესდება გადაიხედება და განახლდება ყოველწლიურად.

2. მიზანი

კომიტეტის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციის მმართველობის, რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემატური ზედამხედველობა. კომიტეტი ეხმარება სამეთვალყურეო საბჭოს და მენეჯმენტს შემდეგ საკითხების განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემის გზით:

- ღირებულებები და ეთიკა
- მმართველობის სტრუქტურა
- რისკების მართვა
- შიდა კონტროლის სისტემა
- შიდა აუდიტის, გარე აუდიტორების და სხვათა საქმინობის კოორდინაცია და ზედამხედველობა
- ფინანსური ანგარიშგება და საჯარო ანგარიშვალდებულება

3. უფლებამოსილება

კომიტეტს გააჩნია შეუზღუდავი წვდომა ყველა საჭირო რესურსზე სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მისთვის მინიჭებული ფუნქციების განსახორციელებლად, მათ შორის წვდომა მენეჯმენტზე, თანამშრომლებზე და ინფორმაციაზე. მას შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტები, დაიქირავოს დამოუკიდებელი კონსულტანტები, აკონტროლოს აუდიტორების საქმიანობა, მოაგვაროს უთანხმოებები და წინასწარ დაამტკიცოს აუდიტის გეგმები. კომიტეტი უფლებამოსილია დანიშნოს და გაათავისუფლოს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დირექტორი.

4. კომიტეტის შემადგენლობა

კომიტეტი შედგება მინიმუმ სამი დამოუკიდებელი წევრისგან. წევრებს უნდა ჰქონდეთ გამოცდილება აუდიტში, ფინანსებში, ინდუსტრიაში, სამართალში და ტექნოლოგიებში.

5. კომიტეტის თავმჯდომარე

კომიტეტის თავმჯდომარეს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს ~~დამოუკიდებელი~~ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, მაგრამ იმავდროულად არ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან და სხვა კომიტეტის თავმჯდომარე.

6. წევრობის ვადიანობა

კომიტეტის წევრობის ვადაა 3 წელი. ყოველწლიურად ხდება გადასინჯვა.

7. კვორუმი

ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად აუცილებელია წევრთა უმრავლესობის მონაწილეობა. სათანადო წესით მოწვეულ შეხვედრაზე, ქვორუმის არსებობის პირობებში, კომიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს მასზე დაკისრებული ყველა ფუნქცია.

8. ღირებულებები

კომიტეტი ხელმძღვანელობს ორგანიზაციის ღირებულებებითა და ეთიკის კოდექსით.

9. კომუნიკაცია

კომუნიკაცია - ღია და სრული როგორც მენეჯმენტთან, ისე გარე მომწოდებლებთან.

10. ინტერესთა კონფლიქტი

წევრებმა კომიტეტზე უნდა განაცხადონ ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას წევრის დათხოვნის შესახებ კონკრეტული საკითხის განხილვიდან.

11. შეხვედრები

შეხვედრები იმართება წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ, საჭიროების შემთხვევაში -- უფრო ხშირად.

12. ოქმები

შეხვედრის შემდეგ მზადდება ოქმები, რომელშიც ასახულია კომიტეტზე მიღებული გადაწყვეტილებები და მითითებულია დამსწრე პირები.

ოქმების სამუშაო ვერსიები მომდევნო ორი კვირის განმავლობაში იგზავნება კომიტეტის ყველა წევრთან.

13. აუცილებელი დასწრება

შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და კომიტეტის ყველა წევრი ვალდებულნი არიან დაესწრონ კომიტეტის ყველა შეხვედრას.

14. პასუხისმგებლობები

კომიტეტი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ რეკომენდაციებს ღირებულებებსა და ეთიკაზე, მმართველობაზე, რისკების მართვაზე, თაღლითობის პრევენციასა და კონტროლზე, შესაბამისობაზე.

15. შიდა აუდიტის საქმიანობა

აუდიტის კომიტეტი:

- ამტკიცებს შიდა აუდიტის დებულებას
- აფასებს რესურსების საჭიროებას
- მონაწილეობს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის შერჩევასა და შეფასებაში

- ამტკიცებს რისკზე დაფუძნებულ აუდიტის გეგმას
- მონიტორინგს უწევს შესრულებას, შედეგებს და რეაგირებას
- უზრუნველყოფს პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობას
- ახორციელებს ხარისხის კონტროლის პერიოდულ შეფასებებს

16. გარე აუდიტორები

აუდიტის კომიტეტი:

- აფასებს გარე აუდიტის გეგმას
- აფასებს დამოუკიდებლობასა და შესრულებას
- მართავს აუდიტორებთან ურთიერთობას
- მონიტორინგს უწევს მენეჯმენტის ქმედებებს აუდიტის რეკომენდაციებზე

17. სხვა პასუხისმგებლობები

აუდიტის კომიტეტი მისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ასრულებს სხვა დავალებებს
- ახორციელებს სპეციალურ გამოძიებებს
- აფასებს საკუთარ და კომიტეტის წევრების საქმიანობას

18. ანგარიშგება კომიტეტის საქმიანობაზე

კომიტეტი წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშს თავისი საქმიანობისა და რეკომენდაციების შესახებ. ანგარიშგება შესაძლებელია განხორციელდეს უშუალოდ აუდიტის კომიტეტის მსვლელობისას ან სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრაზე.

დოკუმენტი განხილულია და დამტკიცებულია აუდიტის კომიტეტის მიერ: